ცნობის ფურცელი

№ 2181 კვირა, 15 ივნისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2181

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—8 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-127 №-რი.

4 მანეთი ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივნისიდან წლის დამლევამდე.

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

ქახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუხა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დონბრიანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.

დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—14)

100 მანეთი ჯილდო.

დაიკარგა ქალის ოქროს საათი ორ-თავიანის არწივით, ბრილიანტით მოჭედილი და ოქროს ბროშკა. ვინც იპოვნის, ვსთხოვ წარმოადგინოს ველიამინოვის ქუჩაზე, ნაზარბეგოვის სახლში № 5. (1—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის ა. ხ. მუსაილაშვილისა.

(გედევანიშვილის სახლი)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

გ. გ. ფოფინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. გულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 8—10.

გ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკევით 10—11 ს.-მდე.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. გ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ბრ. ვ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა).

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოფქები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

კავკასიის აქეთა მხრის

რკინის გზის უფროსი

ამით აცხადებს, რომ 17 ივნისიდან 1 სექტემბრამდე მთხოვნელებს და იმ პირთ, ვისაც რამე საქმე აქვთ უფროსთან, მიიღებს კვირაში ერთხელ, სამშაბათობით, 1 საათიდან 2 საათამდე. (ნ. 3—1)

ტფილისის სავაჭრო სკოლა

ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს, დაარსებულია ტფილისის ვაჭართა საზოგადოების მიერ.

კურსი სამის წლისაა. პირველ კლასში მიიღებიან უეგზამენოთ საქალაქო სასწავლებლებში (1872 წლის დებულებისა) სწავლა დამთავრებულნი. სწავლის ფასი 80 მანეთია წელიწადში.

კურს-დამთავრებულთა უფლებანი:

ეძლევათ წოდება პირად საპატიო მოქალაქისა სავაჭრო საქმეში ხუთის წლის სამსახურის შემდეგ. სახელმწიფო სამსახურში—უფლება უეგზამენოდ პირველ სკლასო ჩინის მიღებისა; სამხედრო ბეგრის გადახდის დროს ისეთივე უფლებანი ენიჭებათ, როგორც მეორე ხარისხის სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ.

სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს. თხოვნასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს მოწმობანი დაბადებისა, წოდებისა და ყვავილის აცრისა. თხოვნების მიღება შეიძლება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში ყოველ დღე დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—2.)

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ცინკოგრაფია

ფილიპ. გამოც. ქართველთა ამხანაგობის

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

საზღვარ-გარედ

გერმანია. „ღამის ორ საათამდე იდგა ხალხი ქუჩაზე და ელოდა გაზეთის საგანგებო ნომრებს. თითოეულ ბიულეტენს მოჰქონდა ამბავი სოციალ-დემოკრატიის ახალ გამარჯვებისა; პროლეტარი აღტაცებული იყო, ბიურგერი (ბურჟუა) განცვიფრებული—დასწყევლოს ღმერთმა, როგორი ენერგიული ხალხია და! ამბობდნენ ცილინდრიანი ვაჟბატონები, მაგრამ სახეზე მწუხარება არ ემჩნეოდათ, ბევრი, განსაკუთრებით ახალგაზრდანი, სიამოვნებითაც ისმენდა დემოკრატიის გამარჯვების ამბავს. ბანკირი არ ჰფიქრობდა ფულიან ყუთის გადამალვას, კოხტად გამოწყობილი მანდილოსნები მშვიდად შეექცეოდნენ ყავახანის ტერასაზე გამაგრილებელ სასმელებს; ერთის სიტყვით, არავის ფიქრადაც არ მოსვლია, რომ საკუთრებას რამე შიში მოელის.

გამარჯვების ეფექტია, თუ ფხიზელ ხალხის ლოღიკა, მოლიბერალე ბურჟუაზიას არ ეტყობა მწუხარება დემოკრატების გამარჯვების გამო. სოციალ-დემოკრატებს აღარ უცქერიან, როგორც კოლექტივისტებს, არამედ როგორც გაბედულ და ულმობელ პოლიტიკოსებს, რომელნიც ყოველ მოვლენას მის სახელს უწოდებენ; ერთის სიტყვით, სოციალ-დემოკრატები საუკეთესო მებრძოლნი არიან იუნკრობისა და პიეტისმის წინააღმდეგ. თავისუფლად მოაზრენი ერთობ ხშირად იხედებოდნენ უკან-უკან და სცდილობდნენ დინჯი ხალხის სახელი დაემსახურათ მაღალ წრეებში. ესენი კი (სოციალ-დემოკრატები) არავის ერიდებიან და მკვახე სიტყვაზე მკვახედვე აძლევდნენ პასუხს. მიმდინარე ეკონომიურ კანონმდებლობის საქმეში ბურჟუაზიისა და მუშების ინტერესი ერთი და იგივეა: აგრარიული პროტექციონიზმი ორივე პარტიისათვის მეტად არა სასიამოვნო მოვლენაა. რასაკვირველია, მალე ისევ იჩენს თავს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის წინააღმდეგობა, მაგრამ ჯერ საერთო ნიადაგიც აქვთ.

რაც შეეხება პოლიტიკურ შეხედულებას, შეძლებული ბერლინელი და მუშა დიდათ არ განსხვავდებიან; რაც უნდა იყოს, ამ მხრივ ბიურგერი მუშას უფრო უახლოვდება, ვიდრე რეაქციონერსა და პიეტისტს: ორივეს კარგად ესმის თავისუფლების ფასი და ორივე წინააღმდეგია „აფეთქებისა და ბატონობის" პოლიტიკისა. რასაკვირველია, შეძლებული წრეები არჩევდნენ, რომ თვითონ იყვნენ ხელმძღვანელი და არა-სიმპატიური სოციალური კითხვები თავიდან მოიშორონ, მაგრამ იმდენად გონიერები კი არიან, რომ ანგარიში გაუწიონ ხალხის განვითარების აუცილებელ შედეგს. პროლეტარიების რიცხვი დიდია, ბიურგერების ცოტა და, სადაც საყოველთაო არჩევნებია, იქ მაიორიტეტი (უმრავლესობა) იმარჯვებს და არა ავტორიტეტი. ტყუილა როდი იყო, რომ შორს-გამჭვრეტი პოლიტიკოსები და სწავლულები საშუალო კლასებისა უფრო იმაზე ამყარებდნენ თავიანთ იმედს, რომ სოციალ-დემოკრატია თან-და-თან სინამდვილეს გასცემდა პასუხს და რეფორმის პარტიად გაჰხდებოდა; რაც შეეხება ძველ ლიბერალურ პარტიებს, იმათი მნიშვნელობის შერჩენა შეუძლებლად მიაჩნიათ.

გუშინ საღამოს (სამ ივნისს) აზრის შედგენა შეიძლებოდა მხოლოდ ბერლინისა და რამდენიმე დიდ ქალაქების არჩევნებზე; დღეს კი ხელთა გვაქვს მთელ გერმანიის არჩევნების შედეგი: მარცხნით (დემოკრატიისაკენ) გადაწევა, უკიდურეს აგრარიების საბოლოო დამარცხება და ცენტრის ძველი მდგომარეობის დარჩენა. როცა ყველა ხმებს დავითვლით, დავინახავთ, რომ ცენტრს ბევრი მომხრე მოჰკლებია, მაგრამ ძველი მანდატები ისევ შერჩენა და ეხლა კათოლიკე პარტიისათვის ეს უმთავრესია: იმის მიხედვით, თუ რა უფრო სასარგებლო ი ნება ეკლესიისათვის, ცენტრს ან მთავრობის პარტია იქნება ან მმართველი. ცენტრის შემდეგ უძლიერესი პარტია სოციალ-დემოკრატია იქნება: ეხლა არჩეულია 57 დეპუტატი, მაგრამ ხელ-ახალი არჩევნები ოც ოცდახუთ დეპუტატს კიდევ შესძენს პარტიას, ასე რომ ახალ რეიხსტაგში ოთხმოცამდე სოციალ-დემოკრატი უნდა იქნეს. ერთ-ერთი პარტია რომ მხარს მისცემდეს მუშათა პარტიას, სულ უკანასკნელი, ორმოცდა-ათი სოციალისტი დეპუტატი უნდა გავიდეს ახალ არჩევნებზე, მაგრამ ეს მოსალოდნელი არ არის, რადგან „წესის" დამცველი პარტიები უთუოდ ხელს მისცემენ ერთმანერთს. მთავრობა აქამდე გაჩუმებული იყო, ეხლა-კი პასუხს იძლევა ხელ-ახალ არჩევნებისათვის—სოციალიზმის წინააღმდეგ. ოფიციოზური გაზეთი ურჩევს კონსერვატორებს—დაეხმარეთ თავისუფალ მოაზრეთ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგაო. რაც უნდა იყოს, სოციალისტს მაინც ის უნდა გვერჩიოსო. კონსერვატორების გაზეთი საპასუხოდ სწერს—თქვენ რჩევამდეც ეგრე მოვიქეცით, მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ თქვენმა პოლიტიკამ ამით რამე მოიგო, რადგან მილიტარისმის და ადმინისტრაციის უფლებათა გაძლიერების საქმეში თავისუფალი მოაზრენი ისეთივე მოწინააღმდეგენი არიან მთავრობისა, როგორც მუშების წარმომადგენელნი. ყველა პარტიების შეერთება სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ (ეგრედ წოდებული „კარტელი") ვერ იწვევს მაინცა და მაინც დიდ იმედებს, რადგან საქსონიის მაგალითი თვალ-წინ აქვთ: აქ სამინისტროს მმათველობის ქვეშ შესდგა კავშირი „წესის მომხრე" პარტიებისა, მაგრამ განსაცვიფრებელი შედეგი მოჰყვა „კავშირის" მოქმედებას: მთელი საქსონია „წითლებს" ჩაუვარდა ხელში ან, როგორც ბებელი სწერს—გულკეთილ საქსონელებს გამოეღვიძათ დილით და დაინახეს, რომ ცხოვრობენ „მომავლის" სახელმწიფოში. 1898 წლის არჩევნებზე 23 მანდატიდან სოციალ-დემოკრატებმა იგდეს ხელში 12; წელს კი პირველ კენჭის ყრაზე ერთბაშად 18 კანდიდატი გაიყვანეს და ხუთმაც ხელ-ახლად უნდა იყაროს კენჭი.

განსაცვიფრებელია მუშათა პარტიის დაწინაურება ესენში, ბოხუმში და მთელ ვესტფალიაში. იმპერატორის ცნობილ სიტყვას კრუპის დასაფლავებაზე ის შედეგი მოჰყვა, რომ სოციალ-დემოკრატიის კანდიდატს 23 ათასი ხმა მოუვიდა. კელნში და მაინცში, კლერიკალისმის „სიმაგრეებში", სოციალ-დემოკრატიას ათი-ათასობით აღმოუჩნდათ თანამგრძნობნი.

მეტად საგულისხმიეროა მუშათა პარტიის დაწინაურება აღმოსავლეთ პრუსიის სოფლებში და ჰანოვერისა და ბადენის წვრილ გლეხებ შორის. ერთი მღვდელი სწერს „რაიხსბოტე"-ში, რომ არის ისეთი სოფლები, სადაც ყველამ დემოკრატს მისცა ხმები, თუმცა ეს ხალხი ცნობილია, როგორც მორწმუნე და წესიერების მოყვარეო. „რაიხსბოტე" ის იშვიათი კონსერვატული გაზეთია, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ დემოკრატების გამარჯვება შედეგია იმპერატორის „აფეთქებულ" პოლიტიკისა, მყვირალა სიტყვებისა და ყველაფრის ცოდნის პრეტენზიისა. რადგან ამ გაზეთს ბევრი მკითხველი ჰყავს სასახლის წრეებში, მის შეხედულებას საგანგებო მნიშვნელობას აწერენ.

უკიდურესი აგრარიები სრულებით დამარცხდნენ, მაგრამ ზომიერ აგრარიებს კიდევ შეუძლიანთ იყოლიონ უმრავლესობა, თუ თვითონ არ გამოიცვლიან თავიანთ შეხედულებას სადამოენო პოლიტიკაზე, რაც შეუძლებელი სრულებით არ არის. განსაცვიფრე-

ბელი გაძლიერება სოციალ-დემოკრატიისა არის შედეგი რთულ ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზეზებისა, მაგრამ „პურით ჩარჩობას" უკანასკნელი ადგილი არ უკავია ამ მიზეზებ შორის. ამ მხრივ მუშათა პარტიის გამარჯვებას მნიშვნელობა აქვს გერმანიის საზღვრებ გარედაც. სოციალ-დემოკრატები იყვნენ და ეხლაც არიან მომხრენი სავაჭრო ხელშეკრულობათა".

ინგლისი. სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება უკანასკნელ არჩევნებზე ეხლავე გამოიყენეს ინგლისში თავისუფლად ვაჭრობის მომხრეთ.

ლიბერალურ პრესის აზრით, რეიხსტაგის არჩევნები კარგი გაფრთხილებაა ჩემბერლენისა და პროტექციონისმის ყველა მომხრეებისათვის: სოციალ-დემოკრატებმა თუ გაიმარჯვეს, უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ თავისუფალ ვაჭრობის მომხრენი არიან და წინა ლუდგნენ სანოვაგეზე ბაჟის დადებას. „დეილი ნიუს"-ი და სხვა გაზეთები აცხადებენ იმედს, რომ მთავრობა და უნიონისტების პარტია მიხვდებიან, თუ რა საუკეთესო ნიადაგია სარევოლიუციო პროპაგანდისათვის სანოვაგის გაძვირება. ამავე აზრის არის ლორდ სოლსბერის შვილი ჰუგო სესილი: „ვისაც რევოლიუციის ეშინია, უნდა ეშინოდეს სანოვაგეზე ბაჟის დადებისაცო".

ახალი ამბავი

✦ ტფილისში ჩამოვიდა **რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ბარონ როპპ.** ეპისკოპოსმა მოიარა ახალციხის მხარე და ეხლა ჩრდილოეთ კავკასიაში აპირებს წასვლას.

✦ 12 ივნისს **ტფილისის ქალაქის გამგეობამ** განიხილა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოწერილობა იმის შესახებ, რომ სახელოსნო სასწავლებლის **დირექტორად ნამყოფს ოჰანეზოვს** მიეცეს 500 მან. გამგეობამ დაადგინა, შეატყობინოს მზრუნველს, რომ ტფილისის საბჭომ ოჰანეზოვის თხოვნა ამას წინად განიხილა, მაგრამ არ შეიწყნარაო.

✦ ხვალ, 16 ივნისს, ტფილისის **ქალაქის საბჭოს** განსახილველი აქვს 25 საქმე.

✦ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის ტელეგრაფის უფროსად,** როგორც გავიგეთ, დანიშნეს სიზრან-ვიაზმის რკინის გზის ტელეგრაფის უფროსი ბრონისლავ გამოლიცკი, რომელიც 1 ივლისს ჩამოვა.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურის **სატელეგრაფო განყოფილება** გაიყოფება ორ ნაწილად. ერთი—ბათუმ-ბალახარბაქოსი და ერევნისა გადავა რკინის გზის გამგეობის სადგომში, როგორც ეს ამ შვიდის წლის წინად იყო. მაშინ გამგეობას საკუთარი სადგომი არ ჰქონდა, ადგილი არ-იყო და ტელეგრაფი ამიტომ გადაიტანეს სადგურზე. გამგეობაში სადგომი უკვე მზად არის. გადავა ექვსი აპარატი და 23 ტელეგრაფისტი, სადგურზე დარჩება 4 აპარატი და 12 ტელეგრაფისტი.

✦ გუშინ წინ-ღამ, 13 ივნისს, დიდუბეში დაიწვა ორი დიდი სახლი პარასკევაშვილისა. ცეცხლი გაჩნდა ღამის მეთორმეტე საათზე და გათენებამდე გასტანა. საბედნიეროდ, სახლები მოედანზე იყო, თორემ მეზობელ სახლებსაც მოედებოდა ცეცხლი, რადგან დიდი ქარი იყო. ჰფიქრობენ ცეცხლი განგებ არის გაჩენილი.

✦ ამას წინად ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობამ „კოლხიდამ" მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის კანცელარიას სთხოვა თესლი **ამერიკულ ბამბისა.** გუშინ რწმუნებულმა მისწერა ამხანაგობას, რომ წელს თესლი ვერ მოგაწოდეთ, რადგან არ გვქონდა დაბარებული, ხოლო შემდეგისათვის თუ ისურვებთ, დროით შეგვატყობინეთ და გამოგიგზავნითო.

✦ **ტფილისის საბოქაულო** ნაწილის ბოქაულად დაინიშნა თავ. მელიქიშვილი, რომელიც უკვე შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

✦ სამტრედია: „6-დან 13 ივნისამდე ვაჭრების წყალობით პარკის ფასმა 17—18 მან. დაიწია. ზევრი საჩივარი ისმის პარკის უსინდისოთ წონაზე. ისეთი ვაჭბატონებიც კი კადრულობენ მეაბრეშუმეების მოტყუილებას, რომელნიც აქაურ „მამებათ" ითვლებიან."

✦ დაბა ლანჩხუთი: 8 ივნისს სცენის მოყვარეთ გამართეს წარმოდგენა; ითამაშეს „ციმბირელი" და „ჭკუის მჭირს". არც სცენა ვარგოდა, არც დეკორაცია და არც თვით წარმოდგენა.

✦ **სეტყვა სოფელ ოძისში ყოფილა.** გაუფუჭებია სეტყვას ნათესობა იმ მამულში, რომელიც თავ. ერისთავმა ხაზინას შესწირა.

✦ ამ ზაფხულს მოგზაური **ინგლისელნი აპირებენ კავკასიაში ჩამოსვლას.** სულ 150 კაცი ჩამოვა.

✦ **მკითხველებს ახსოვთ, რომ დანდუროვმა 1000 მან. გადაახდევინა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. საბჭომ ლაპარაკი** ჩამოაგდო, რომ ეს ფული სამეურნეო საზოგადოებას არ უნდა გადაეხადა, რადგან დანდუროვი არავითარ საქმისთვის კომიტეტს გამოფენის დროს არ მოუწვევია და, მაშასადამე, ვალიც საზოგადოებას არ ეკითხებაო. გამოირკვა, რომ დანდუროვი მოუწვევია „გასართობების მომწყობ კომისიას" და თავ. ანდრონიკაშვილს. ამის გამო სთქვეს, რომ 1000 მან. თავ. ანდრონიკაშვილსა და „გასართობების მომწყობ კომისიას" გადაახდევინონო. საბჭო ამ საკითხის შესახებ ვერავითარ გამორკვეულ აზრს ვერ დაადგა და საბოლოოდ გადაწყვეტა გადასდო 17 ივნისის სხდომისათვის.

✦ გუშინ, 14 ივნისს, სასამართლო პალატამ განიხილა საქმე შორაპნის მაზრის დიმის საზოგადოების მამასახლისად ნამყოფი ხარიტონ ტაბატაძისა, რომელსაც სამსახურის დროს სიყალბის ჩადენა ჰბრალდებოდა. დიმის საზოგადოების გლეხს თუთბერიძეს მოუსურვებია ქუთაისის მოქალაქედ ჩაწერა, ამისათვის მოწმობის მისაღებად მიუმართავს სოფლის სამმართველოსათვის. თუთბერიძეს მწერლის გედაძისაგან მიუღია მოწმობა, რომლითაც სოფელი ნებას აძლევდა სოფლის საზოგადოებიდან ამორიცხვისა და ქუთაისის მოქალაქედ ჩაწერისას. რამდენისამე ხნის შემდეგ თუთბერიძის მეზობლებს მამასახლის ტაბატაძეზე საჩივარი შეუტანიათ, თუთბერიძე თავის ნებით სოფლის გადასახადისაგან გაანთავისუფლა და იმისი გადასახადი ჩვენ შემოგვაწერაო. აღმოჩნდა, რომ თუთბერიძისათვის სოფლის საზოგადოებას არ მიუცია დათხოვნის მოწმობა და ეს საქმე მოუხერხებიათ სოფლის სამმართველოში. გადამწერს გედაძეს განუცხადებია, ბეჭედი მამასახლისს ჰქონდა და იმის განკარგულებით გავაკეთე ეგ მოწმობაო. ქუთაისის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ სცნო ტაბატაძე და გადაუწყვიტა ზოგიერთ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლით გაგზავნა. პალატამ გუშინ განიხილა ეს საქმე, გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და ტაბატაძეს გადაუწყვიტა მარტო მამასახლისის თანამდებობიდან დათხოვნა.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომრის (2180) ერთ ახალ ამბავში შეცდომა შეპარულა. დაბეჭდილია: „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატთა სამკურნალოს კანცელარია" და სხვა. უნდა იყოს: „დეპუტატთა საკრებულოს კანცელარია".

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ვისაც ქუთათურ ყასბების თავგასულობისთვის თვალ-ყური უდევნებია, გაკვირვებით იკითხავს, ნუთუ ქალაქს პატრონი არა ჰყავს, რომ ესენი ალაგმოს და მცხოვრები მათის კლანჭებისაგან იხსნასო. ქუთათურ ყასბებისთვის არავითარი კანონი, არავითარი ნიხრი და ხორცის ხარისხი არ არსებობს. კანონს ისინი თავისთვის თვითონვე ჰქმნიან; ნიხრს თუმცა ქალაქის საბჭო ადგენს და ქალაქის გამგეობაც საყასბოების კარებზე აკრევინებს, მაგრამ ნიხრი თავისთვისაა და ყასბები თავისთვის, ერთმანეთს ხელს არ უშლიან. რაც შეეხება ხორცის ხარისხებად დაყოფას, ეს ჩვენს ყასბებს სასაცილოდაც არა ჰყოფნით: სათბილო, ბეჭი, თავი, კისერი, ფეხი—ადგილობრივ თუ მორეკილ საქონლისა—ყველა პირველ ხარისხის ხორცად იყიდება; კამეჩის ხორცი ძროხის ხორცად საღდება; ძროხის ხორცი—ძუძუ-მწოვარ ხბოს ხორცად; თხისა—ცხვრის ხორცად, ცხვრის ხომ ბატკნის ხორცად და სხვ. ვსთქვათ, ერთი, ან ორი გირვანქა სუკის ყიდვა გინდათ; ტყუილად ნუ ინდომებთ: მთელი სუკი უნდა წაიღოო, გეუბნებიან. თუ სუკი გესაჭიროება, იძულებული ხარ მთელი იყიდო. მაგრამ იცით, რამდენს იწონის ქუთათურ ყასბებთან თითო სუკი? 6—10 გირვანქას, და ეს არც გასაკვირველია: კისრის ხერხემლიდან რომ დააყოლებენ დანას, რაც უძვლო ხორცი შეხვდებათ, ყველას სუკად მოგაწერენ! ზოგიერთებმა ვითომ ხერხს მიჰმართეს, რომ ხეირიანი ხორცი იყიდონ. ამისთვის, როდესაც, მაგალითად, ორი გირვანქა პირველ ხარისხის ხორცის ყიდვა ჰსურთ, სამს გირვანქას თხოულობენ, იმ იმედით, რომ კარგს ხორცზე ორს გირვანქას მაინც მომიჭრიან, ამას დავავლებ ხელს და ცუდი ხორცის დაწონვისაგან განვთავისუფლდებიო, მაგრამ ვის მოატყუილებენ: ასეთ შემთხვევაში სულ უხორცოდ უშვებენ მუშტარს, არ ვყიდითო. შეუდგენ ოქმს—რა გამოვიდა მერე: ათი შაურით ან მანეთით დააჯარიმებენ, რაც მათთვის სრულიად არაფერსა ნიშნავს. ამას უნდა დაუმატოთ ის მეტის-მეტი უსუფთაობა, რომელიც ყასბების დუქნებშია, და მაშინ ცოტათი მაინც წარმოიდგენთ იმ გაჭირვებას, რომელშიაც ჩავარდნილია ქუთაისელი.

ამ გარემოებისთვის ქალაქის გამგეობას ყურადღება მიუქცევია და ვრცელი მოხსენება წარუდგენია ქალაქის საბჭოსთვის საქალაქო დუქნების დაარსების შესახებ. მოხსენების ავტორის აზრით,

ფელეტონი

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

ვახტანგ გიორგიჩის ისტორია.—„ნედოიმკები" და კახელი კეთილშობილნი.—ერთი შესანიშნავი ამბავი.—ხორცის დუქნები.—

ერთი სამწუხარო ამბავი უნდა გიამბოთ. სამწუხაროა იგი, მაგრამ თამამად შეგიძლიათ იცინოთ. შეიძლება, მწუხარების ნიჭი უკვე დავიკარგავთ და მხოლოთ სიცილის სურვილი-ღა შეგრჩენიათ. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს ლუი მეთექვსმეტეს სასახლემ ყოველი დარდი და მწარე ფიქრები უკუაგდო და დღე და ღამ გაუწყნარებლად იცინოდა: მოილხენდა ლუი, მოილხენდა ბრწყინვალე არისტოკრატია და ორივე ერთმანეთს აღდეგრძელებდა. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, სუფრაზე ქეიფის დროს დღეგრძელობა არ ნიშნავს ნამდვილს დღე-გრძელობას. ბევრჯელ გვინახავს, რომ ასის წლის მოხუცისათვის ასის წლის დღეგრძელობა უსურვებიათ...

მაინც იცინეთ, მკითხველო; ამას ნუ მოერიდებით. ჩემი ამბავი ძალიან საინტერესო შინაარსისაა. მართალია, ისე ვერ არის მოთხრობილი, როგორც ამას დასწერდა ხელოვანი მხატვარი, მაგრამ მე ხომ ფელეტონისტი ვარ და არა ბელეტრისტი.

ჩემის ამბავის გმირს სახელად ეძახოდნენ ვახტანგს. გვარი არ ვიცი; მღვდლის შვილი იყო, გაათავა სასულიერო სასწავლებელი და მას აქეთ ოცი წელიწადი სახაზინო პალატაში მსახურობდა. მეტის-მეტის სიყვარულით და გულმოდგინებით ასრულებდა თავის სამსახურს. ყოველთვის დანიშნულ დროზე ადრე მოდიოდა სამსახურში. რასაც კი მიანდობდნენ, ყველაფერს ხმის შეუბრუნებლად აკეთებდა. ყველაზე მეტს ამუშავებდნენ; საღამოობით, უქმე დღესაც კი დაიარებოდა სამუშაოთ. ხმას არ იღებდა, როდესაც უსუსურ ბავშვებს აწინაურებდენ და მას კი, დამსახურებულს ადამიანს, უბრალო ხელქვეითის ადგილზე ჰკლავდენ. ხანდახან კიდეც დასცინოდნენ ვახტანგს...

დასცინოდნენ, უზომოთ ამუშავებდნენ, ამცირებდნენ,—მისთვის სულ ერთი იყო: მის სახეზე არასოდეს არ გამოხატულა უკმაყოფილება. თითქოს ღრმად დარწმუნებული იყო, რომ რაც ხდებოდა, ყველაფერი უნდა მომხდარიყო და სხვაფრივ შეუძლებელიც იყო. ვახტანგ გიორგიჩს არ ჰყავდა არც ცოლი და არც შვილი, ცხოვრობდა მარტო. მისთვის ყველაზე უფრო სამხიარულო ის იყო, რომ ხანდახანს საღამობით გამოდიოდა ახლობელ ლუდხანაში, აიღებდა გაზეთებს და, სწორედ ჰამდაო, ისეთის ინტერესით ჰკითხულობდა. განსაკუთრებით უყვარდა ერთი ქართული გაზეთი. „ნამდვილი გაზეთიაო! იტყოდა. ერთი სტრიქონი, უბრალო განცხადებაც არ დარჩებოდა წაუკითხავი. უქმე დღე დილაობითაც ჰკითხულობდა გაზეთებს.

14 მაისი იყო, კვირა დღე. ვახტანგ გიორგიჩი ადრე გამოეშურა თავის საყვარელ ლუდხანისაკენ. მშვენიერი დღე იდგა და გარედ დაჯდა, ბაღის წინ. თან გაზეთს ჰკითხულობდა, თან გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებდა.

ასე მეათე საათი იქნებოდა, რომ უცებ უფროსმა (ახალი უფროსი იყო) ჩამოუარა და ცოტა სხვანაირად, უკმაყოფილოდ შეხედა, თუმცა ვახტანგ გიორგიჩი ფეხზე წამოუდგა და მოწიწებით დაუკრა თავი. ვახტანგ გიორგიჩს ძალიან ეუცა უფროსის სახე, ჩაფიქრდა, მაგრამ ვერ მიხვდა, თუ რა მიზეზი იყო... მალე ზარების რეკვას მოუხშირეს და ვახტანგ გიორგიჩი საკრებულო ტაძარში შევიდა, რომელიც იქვე ახლოს იყო. ეპისკოპოსი სწირავდა, დღესასწაული იყო... ეკკლესია მთლად გავსებულიყო სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებით, ყველანი ბრწყინვალე მუნდირებში იყვნენ გამოჭიმულნი...

ვახტანგ გიორგიჩი უფრო გულ-მხურვალედ და დიდებულად ლოცულობდა, ვიდრე ჩვეულებრივ. გათავდა წირვა, გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი. როდესაც ხალხი გამოდიოდა საყდრიდან, უფროსმა კვლავ ჩამოუარა ვახტანგ გიორგიჩს და ეხლა კიდევ უფრო გაჯავრებულად შეჰხედა. ვახტანგს ელდა ეცა, გაშეშდა, ფეხები გაუჩერდა და ადგილიდან ველარ იძროდა.

„ჰა!" უხმოდ ჰკითხა თავის-თავს, მაგრამ ვერაფერი პასუხი ვერ მიიღო. ეკკლესია დაიცალა და მაშინ გამოვიდა გარედ. „რა უბედურებაა ჩემს თავზე!" საცოდავად წამოიძახა და სახლისაკენ გამოსწია, ჯერ ნელის ფეხით და მერე აჩქარებულად. დასტოვა ბაღი, სეირნობა და სხვა ყველაფერი, რაიც წინად ძლიერ აინტერესებდა.

როგორც კი მოვიდა სახლში, დაეცა სკამზე, დაებჯინა ხელებს და გამწარებული დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რისთვის შემოხედა წყრომით უფროსმა. „დავიღუპე!" წამოიძახა ბევრის ფიქრის შემდეგ: „მაგრამ რისთვის?" უცებ რაღაც აზრმა გაურბინა თავში და ფეხზე წამოხტა შეშინებული. „ახ! ...ა-ა-ახ!" წარმოსთქვა კვნესით.

„ვიცი... ვიცი!—მუნდირი არ მეცვა, ფორმაში არ ვიყავი, აი, ამიტომ იყო განრისხებული უფროსი. მაგრამ დილაზე რომ შემომხედა? მაშინ? მაშინ კიდევ ხომ გაზეთს ვკითხულობდი, ქართულს გაზეთს! დაინახა, დაინახა!.. ოჰ, ოჰ, ოჰ! ღმერთო!"..

ცივმა ოფლმა დაასხა ვახტანგ გიორგიჩს და კანკალი დაიწყო. „ეს ხომ...." ვახტანგს წარმოუდგა წინ გაბრაზებული უფროსი, რომელიც მუქარით ეუბნება: ო-ო-ო, მოწყალეო ხელმწიფეო! მაშ აგრე განა?.. გიცნობთ.. გიცნობთ, ვინც ბრძანებულხართ... თქვენისთანა პირებს ჩვენ...

შეშინებულმა ვახტანგ გიორგიჩმა ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, მართლა ხომ არავინ არისო. „არავინ არის, მაგრამ რომ ეხლა უცებ აქ გაჩნდეს უფროსი?" გაიფიქრა და კედელზე გაუჩერდა თვალები, სადაც აკაკის პატარა სურათი ეკიდა. ეცა, უცბად ჩამოგლიჯა, დახია და დიდ-ხანს ეკავა ხელში, არ იცოდა, სად გადაეყარა. მერე ბუხარში შეჰყარა და ცეცხლი წაუკიდა.

ისევ სტოლს შემოუჯდა და ცოტა დამშვიდებით დაიწყო ფიქრი. „სამსახურიდან დამითხოვენ... მერე სად უნდა წავიდე?.. რაღა მეშველება... ვერასოდეს ვერ ვნახავ ჩემს საყვარელს პალატას... ჩემს ამხანაგებს... ჩვენს „სტოროჟს" ფადეის. ლოთია, მაგრამ საყვარელი კაცია!.. აღარ მექნება არც ჩინი, არც ჯამაგირი, არც პატივისცემა!.. რაღა ვიქმნები, რაღა ვიქმნები?!."

კვლავ წარმოუდგა წინ მრისხანე უფროსი, რომელიც ეხლა დაცინვით ეუბნებოდა: „სამსახურიდან დაგითხოვენ! დიაღ, დიაღ. მხოლოდ მარტო სამსახურიდან დაგითხოვენ?.. უკაცრავად, ვახტანგ გიორგიჩ!.."

თვალები გაუშტერდა ვახტანგ გიორგიჩს და გიჟივით გამოიყურებოდა. ათასნაირი უბედურება გადაეშალა წინ. წყალივით ჩამოსდიოდა ოფლის ღვარი; იწვებოდა, თითქოს ჯოჯოხეთის ცეცხლში იყოო, გარშემო ეშმაკები შემოხვევოდნენ და ხარხარით ტანჯვას ემუქრებოდნენ.

წამოხტა, გაცხარებული დაიწყო აქეთ-იქით სიარული. „მერე რისთვის! რისთვის, რისთვის?.. როგორ დამავიწყდა, რა უბედურ

წლიური ხარჯი იქნება 176,335 მანეთი; შემოსავალი კი—180,683 მანეთი. ამგვარად ქალაქს ყოველ წელს წმინდა მოგება უნდა დარჩეს 4,348 მან. მაგრამ, სულაც რომ არაფერი მოგება დაგვრჩესო, ნათქვამია მოხსენებაში, ქალაქმა მაინც არ უნდა დააგვიანოს დუქნების გამართვაო. ჩვენის მხრით კიდევ მეტს ვიტყვით: არამც თუ 4348 მანეთი მოგება, ამდენი წაგებაც რომ ჰნახოს ქალაქმა, მაინც არ უნდა სთქვას უარი, რადგან ამ 4 ათას მანეთის წაგებით ის ერთიათად მეტს შესძენს ქალაქის მცხოვრებთ სალის ხორცის რიგიან ფასებში მიწოდებით. ნუ შეგვაშინებს ტფილისის დუქნების დროებითი ზარალი; ჩვენ შეგვიძლიან გაკვეთილად ვიხმაროთ იმათი შეცდომები.

რუსეთის ქრონიკა

◆ ამას წინად ვწერდით, რომ მთავრობას აზრადა აქვს მატარებლებზე შემოიღოს ახალი თანამდებობა—მატარებლის უფროსისა. ეხლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მთავრობას საბოლოოდ გადაუწყვეტია საქმე. უმთავრესი მოვალეობა ამ უფროსისა ის იქმნება, რომ მატარებელმა გზაში არ შეიგვიანოს ხოლმე. ამას გარდა უფროსმა თვალ-ყური უნდა ადევნოს სუფთაობასა და წეს-რიგს.

◆ ფინლიანდიაში, ხირვენსალმში, დიდი მიწის ძვრა მომხდარა. სახლებს საშინლად ზანზარი დაუწყიათ. ნივთები სტოლებიდან და სხვა ადგილებიდან ცვიოდა თურმე. ბევრგან კედლები დარღვეულა. იქვე ტბაა, რომელიც საოცრად აღელვებულა.

◆ პეტერბურგში 8 ივნისს გახსნეს სანატორია ასოთ-მწყობებისათვის. ეს სანატორია დასუსტებულ და მძიმე ავადმყოფობისაგან ახლად განკურნებულ ასოთ-ამწყობთათვის არის. სანატორია ზღვის პირად გამართეს პეტერბურგის 200 წლის არსებობის გამო. ჯერ-ჯერობით სანატორიაში 20 ოთახია. იქ მყოფნი არაფერს იხდიან, ეძლევათ საჭმელი, სასმელი და სხვა.

◆ აგვისტოს პეტერბურგში დააარსებენ ქალთა ახალ საკომერციო სასწავლებელს. შვიდი კლასი იქმნება ამ სასწავლებელში. საზოგადო განათლების პროგრამა ისეთივე იქმნება, როგორიც ქალთა გიმნაზიებშია. საკომერციო საგნებს გარდა ასწავლიან ფრანგულსა, გერმანულსა და ინგლისურს ენებს. სწავლა-დამთავრებულთ ნება ექმნებათ ქალთა კურსებსა და სამკურნალო ინსტიტუტში შესვლისა. ას ერთი სასწავლებელი ამ ჟამად მოსკოვს, კიევსა და ოდესსაშია.

პრესსა

ჩვენმა მკითხველმა უკვე იციან, რომ მთავრობამ ცვლილებანი მოახდინა საქარხნო ინსპექციის დაწესებულებებში. თუმცა ინსპექცია ფინანსთა სამინისტროს ემორჩილება, მაგრამ ფაქტიურად ამიერიდან ადგილობრივ გუბერნატორების ხელ-ქვეითი უფრო იქნება. „ნოვოე ვრემია"-ც-კი სწერს, რომ ამისთანა რამე ჯერ რუსეთში არ მომხდარა მას შემდეგ, რაც სამინისტროები არსებობსო, ე. ი. ჯერ არ მომხდარა, რომ ერთის სამინისტროს დაწესებულება მეორე სამინისტროს მოხელის ექვემდებარებოდეს.

ეხლანდელი დადგენილება საქარხნო ინსპექციის შესახებ ამყარებს ახალს წესს იმ ურთიერთობისას, რომელიც უნდა არსებობდეს საქარხნო ინსპექციასა და ადგილობრივ გუბერნატორის შორის. ამ დადგენილების ძალით, გუბერნატორი ადგილობრივ საქარხნო ინსპექციის საქმეში უფრო „ხაზეინია", ვიდრე სათანადო დაწესებულება ფინანსთა სამინისტროსი.

⁂

ქალაქებში ყველგან დღითი-დღე ძვირდება სადგომები. ძალიან ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ ამ სიძვირის შესახებ რუსეთსა და ევროპაში. ევროპაში ლაპარაკთან ერთად საქმესაც შეუდგნენ—აგებენ უზარმაზარ შენობებს ღარიბთათვის. ამ შენობებში იაფფასიანი სადგომებია. პარიზში თოთხმეტის წლის წინად დაარსდა იაფ-ფასიან სადგომების საზოგადოება, რომელმაც მეტად დიდი სარგებლობა მოიტანა. მაინც 100,000 ოჯახზე მეტია პარიზში უსადგომობით ძლიერ გაჭირვებული.

უფრო მეტი გააკეთა ინგლისმა,—სწერს ერთი ჟურნალი. 60 წელიწადია, რაც ინგლისში თვით კაპიტალისტები მხნედ შეუდგნენ იაფ-ფასიან სადგომების აგებას. ქარხნებთან ქალაქს გარედ ეხლა ბევრგან სამაგალითო საცხოვრებელი სახლებია. გერმანიაში მხოლოდ ეხლა შეუდგნენ გულმოდგინედ ამ საქმეს. მარტო ბერლინში 100 ათას მუშამდე ძირითა სართულში სცხოვრობს. საუკეთესო სადგომები გერმანიაში კრუპმა გამართა. იმის მიბაძვით მთავრობამაც გამართა სადგომები შპანდაუში. ჰოლანდიაში თვით მთავრობამ იზრუნა, რომ მუშა ხალხს იაფ-ფასად ხეირიანი სადგომები ჰქონდეს.

წერილი ახალ-სენაკიდან

სენაკი და ზაფხული.—პეტრე-პავლობა და წარმოდგენები.—აბრეშუმის პარკის ფასი.—პარკის საწყობები.

აქაურ სასწავლებლებში სწავლა დამთავრდა და მოსწავლენი უკვე დაითხოვეს საზაფხულოდ. ზაფხულში სენაკი ბევრს არაფერს შეიწყენს, რადგან ჭაერი აქეთ გვარიანია და არც გარეშე ხალხი უშლის ხელს და უფრთხობს ძილს ამ პატარა დაბას.

პროვინციებში წარმოდგენების გასამართავად გამგზავრებულ ქართულ დრამატიულ დასს ჯერ არ ჩამოუვლია აქეთკენ. სასურველია ეს დასი მაშინ მოვიდოდეს სენაკში, როცა თითქმის მთელი სამეგრელო აქ იყრიბება, სადღესასწაულოდ დამზადებული, ე. ი. პეტრე-პავლობას, 29 ივნისს... სენაკი მაშინ მხიარულია და მრავალი საზოგადოებაც აწყდება. წარმოდგენაზე დასწრებას მაშინ, სენაკელების გარდა, გარეშე საზოგადოებაც შეიძლებს, სხვათა შორის, სოფლელებიც. მხოლოდ წინდაწინ უნდა ავღიაროთ, რომ უპეველთვის „და-ძმის" წარმოდგენა აქაურ სცენაზე ბევრი არაფერი სასურველია... სანაღვლოდ ჩვენდა, ვინც-კი გამოიარა ამ დაბისაკენ, ყველამ „და-ძმას" სტაცა ხელი, რაო-და პიესა მეგრელების ცხოვრებიდანაო... ამ პიესას ჩვენი საზოგადოება კარგა ხანია იცნობს. 8 ივნისს სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს ადგილობრივ კლუბის დარბაზში „ქართველი დედა", ისტორიული დრამა ა. ცაგარლისა და „ორი მშიერი" —ვოდევილი აწყურელისა. წარმოდგენამ ცუდად ჩაიარა; ხალხიც ნაკლებ დაესწრო.

ამ უკანასკნელ დღეებში აბრეშუმის პარკის ჩამოტანაც დაიწყეს სოფლებიდან. ფასი ფუთი პარკისა ჯერ-ჯერობით 17—18 მ. 50 კ.-მდეა. მრავლად გაჩნდნენ სხვა-და-სხვა ვაჟბატონები, რომელნიც ხალხს ატყუებენ. ამ დაბაში არის რამდენიმე საწყობი პარკისა, სადაც აბრეშუმის ჭიის დასახოცი მანქანებია. პარკის გაწმენდ-გარჩევისად და დამუშავებად პატრონებს რამდენიმე გოგობიჭი ჰყავთ დაქირავებული. მუშაობა ზოგიერთ საწყობებში მთელი შემოდგომა-ზამთარი გრძელდება. ზოგიერთი სოფლის მუშა სხვა სამუშაოს სტოვებს და აქ მოდის, რომ რამე შეიძინოს. ასე იქცევიან ოჯახის პატრონი ქვრივი დედა-კაცები.

ჩუგამარიონი

წერილი თელავიდან

კიდევ სეტყვა.—წყალდიდობა და უბედურება.—სიცივეები და აბრეშუმის ჭია.—უწარმოდგენლობა.—სძინავს წიგნთსაცავს.

გაზაფხული ზამთრად შეიცვალა და დამისარის ზაფხული კიდევ—გაზაფხულად. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული დაიწყო, სულ ავდრებია როგორც თელავს, ისე მთელ მაზრაში. დღე ისე არ გავიდოდა (9 ივნისამდე), რომ ნიაღვარი არ მოსულიყო და ამას ვინ იზივლებდა, რომ შიგის წვეულებისამებრ სეტყვაც თან არ მოჰყოლოდეთ. 5 ივნისს მოვიდა სეტყვა და დასეტყვა თელავი და უფრო ძალიან შალაური. 7 ივნისსა დაიწყო დიდი ნიაღვარი და ხანგრძლივ იწვიმა. სხვა ხევებს გარდა ს. რუისპირის ხევი—თურდო—ისე ადიდებულიყო შუადღისას, რომ მთელი არე-მარე თან მიჰქონდა. გასვლა-გამოსვლა ხომ შეუძლებელი გახდარა. ტფილისიდან მომავალი ერთი მგზავრი მაინც არ დაჭრიდებია და შეუტანია წყალში ფურგონი, რომელიც ფარჩის ცალებითა და საკერავის მანქანებით ყოფილა დატვირთული, მაგრამ რა გაუმაგრდება წყლის გამძვინვარებულ ტალღებს: მალე ფურგონი გადაბრუნებულა და სულ დაუღუპნია, ცხენები შეუჭრიათ და ისე ძლივ გადაურჩენიათ. მაშინვე თელავიდან მიეშველნენ. საქონელი ზოგი იპოვნეს—სულ დასველებულ-გადაფუჭებული, ზოგი-კი ვერა. სხვათა-შორის, ერთი საკერავი ზინგერის მანქანაც წაუღია წყალს და ვეღარ უპოვნიათ...

ამასთან ამ დღეებში საკვირველად აცივდა კიდეც, ასე რომ კინაღამ კუნჭულში მიმალული ზამთრის ტანისამოსი არ მოვინახეთ. რასაკვირველია, არც მოსავლისთვისაა კარგი დაუნდობელი ავდარი. ვენახს ნაცარს და ობს გაუჩენს და ჯეჯილებს აახალისებს. სიმინდებისთვის კარგია, მაგრამ ამასაც გასათოხნად დრო მოუშალა. 10 ივნისიდან გამოიდარა. ავდარი არც აბრეშუმის ჭიისთვის არის კარგი, მერე ისეთ სადგომებისთვის, სადაც თავისუფლად დასეირნობს ქარ-სიცივე. როგორც მაზრის ზოგიერთ სოფლებიდან ამბავი მოდის, წელს ჭიას კარგი პირი უჩანს. ზოგი ცახზე უკვე ავიდა და პარკის გაკეთება გაათავა. ღმერთმა ბრძანოს, რომ შრომა დაუფასდეთ და ორიოდე გროშით ხელი გაიმართონ გაჭირვებულმა ხალხმა. მყიდველნიც საკმაოდ გამოჩნდებიან. სხვა არ იყოს რა, თელავში ძაფის ორი ამოსახვევი ქარხანაა. (ამას წინად „ცნ. ფურცელ". № 2131) იმის შესახებ კორესპონდენციაში შეცდომა შეგვეპარა—უნდა იყოს: ქარხნები მთელ წელიწადს არა მოქმედობენ და სხვა).

თელავს ზაფხულის ელფერი დაეტყო. ჩამოვიდნენ მოსწავლე ახალგაზრდობა და ჯერედ მცირე მოაგარაკენი. ბულვარიც ახმაურდა, მხოლოდ ჩვენს სცენაზე ფარდა სულ ჩამოშვებულია. ამ ზაფხულს ერთხელაც ვერ აგწიეთ (ისე დამძიმდა) მიუხედავად იმისა, რომ ეხლა სცენის მოყვარე-ქალებიც ბლომად არიან. აქამომდე ერთ ორ წარმოდგენას მაინც მოახერხებდნენ, მაგრამ სახალხო წარმოდგენებისთვის თეატრი ვერ უშოვნიათ. ის თეატრი, სადაც შარშან ჰმართავდნენ წარმოდგენებს, წელს ბ-ნ აჯამამულოვმა აიღო საზაფხულოდ. თვით აჯამამულოვი ტფილისში იმყოფება და ამ თვის გასულს მოიწვევს თელავში ქართველ მსახიობთ წარმოდგენების გასამართავად.

ფეხზე ავდექი! ...არა! გაზეთისათვის რომ გავიქეცი ადრე, საინტერესო დეპეშები იქმნება-მეთქი! რა არის გაზეთი?.. სად მქონდა ჭკუა, სად? განა პოლიტიკისათვის, რაღაც საქვეყნო ამბებისათვის უნდა დავიღუპო თავი?!."

გაჩერდა, სიარული აღარ შეეძლო. ისე კანკალებდა, თითქოს გაეციებინა. უცებ კარი გააღო და ჩამოგლიჯა, რუსულად და ქართულად რომ მისი გვარის წარწერა იყო გარედ. თვალებში ეცა თავის სახელი „ვახტანგი". „ღმერთო ჩემო! გაიფიქრა: ვახტანგი, ვახტანგი! ვახტანგი ხომ გორგასლანი იყო, ვახტანგი მეექვსე კიდევ მეფე იყო. რად მქვია მე ეს ისტორიული სახელი? ნუ თუ სხვა სახელი არ იყო დედამიწაზედ?... რას იტყვიან ამაზე! ეს ხომ მთლად დამღუპავს! ღმერთო!.."

სახლში შემოვიდა და ლოგინზე დავარდა. გული გასკდომას აპირებდა. თავში ისე აერია ყველაფერი, რომ არა გაეგებოდა რა. რაღაცა დიდის საშინელებით იყო შეპყრობილი, უზომოდ იტანჯებოდა, ამას გრძნობდა, სხვა კი ყველაფერი ბურუსით იყო მოცული მისთვის. ასე გაატარა რამდენიმე საათი.

საღამო დადგა. ვახტანგ გიორგიჩს ლუკმა არ ეჭამა და არც არაფერი უნდოდა. ახლოს სტვენის ხმა მოესმა და ვახტანგი ფეხზე წამოხტა. „მოდიან!" წამოიძახა ცახცახით და სულგანაბული დაუგდო ყური, აბა როდის დაარაკუნებენ კარსო. არავინ არ მოდიოდა. სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ვახტანგ გიორგიჩმა სული მოითქვა, მაგრამ მაინც მწარედ გაიქნია ხელი: „არაფერი, აღარაფერი არ მეშველება", და ცრემლები მოადგა თვალებზე.

სტოლის წინ იდგა. მოაგონდა, სტოლის უჯრაში წერილები ჰქონდა ნათესავებისა და ამხანაგებისაგან, ჰქონდა ერთის სემინარიელის წერილი, სადაც რაღაც ეკონომიურ განვითარებაზე იყო ლაპარაკი. გამოგლიჯა ყუთი და მიწაზე დაახეთქა, თითქოს იმის ბრალი ყოფილიყოს ყველაფერი. აკრიბა, რაც წერილები იყო შიგ და ცეცხლი წაუკიდა. გაახსენდა ისიც, რომ შკაფში ტანისამოსზე ქართული გაზეთი ჰქონდა გადაფარებული; მაშინათვე გამოიღო, თუ სადმე გაზეთის ნახევი იყო და დასწვა. მერე მიდგა, ყველაფერი გადასჩხრიკა სახლში და, თუ სადმე ნაწერი იყო ან ნაბეჭდი, ყველაფერი ცეცხლს მისცა.

ძალიან დაიღალა. უკვე მეთორმეტე საათი იყო. ვერც ფეხზე დგებოდა, არც ჯდებოდა...

უცებ უფროსის ხმა მოესმა. გაიგონა, რომ უფროსი ვიღაცას ეუბნებოდა: დიაღ, აქ სცხოვრობს ვახტანგ, ვა-ხ-ტ-ა-ნ-გ გიორგიჩი! მოესმა სხვების ხმებიც. ზოგი მუქარით ლაპარაკობდა, ზოგი დასცინოდა.

„ვაიმე!" დაიძახა საშინლად ვახტანგ გიორგიჩმა, დაეცა მუხლებზე და პავშვივით დაიწყო ტირილი. „შემიბრალეთ! შემიბრალეთ!" იხვეწებოდა კანკალით...

ვახტანგ გიორგიჩი მოკვდა ტვინის: ანთება მოუვიდა და ორ კვირასაც არ უცოცხლია ამის შემდეგ.

**

კახეთიდან გვწერენ, რომ იქაური თავად-აზნაურობა დიდს საგონებელშია ჩავარდნილი „ნედოიმკების" გამო; ამ სიტყვამ ყველას თავზარი დასცაო, მწარე დრო დაგვიდგა, თვით ალა-მაჰმად-ხანისაო. ყველაფერი დაივიწყეს თურმე კეთილშობილებმა—ქეიფი, ლხინი, დროს გატარება. არ აქვთ ძილი, არ აქვთ მოსვენება, დადიან აქეთ-იქით და სულ ამას გაიძახიან: „ნედოიმკა, ნედოიმკა—საკითხავი აი ეს არის!" ზოგიერთები ძალიან გულმოსულები არიან და ასე ამბობენ: „სამართალი და კაცობა რომ იყოს, თავად-აზნაურობას „ნედოიმკეპი" უნდა აპატიონო... როგორც შვილი დედის ამაგს თავის დღეში ვერ გადაიხდის, ისე ქვეყანა თავად აზნაურობის სამსახურსაო. დედამიწა თუ ბრუნავს დღემდის, ჩვენის მადლითაო!"

ასე ამბობენ, მაგრამ ბოქაული (ეს სასტიკი მხედარი დღევანდელი ცხოვრებისა) ყურადღებას არ აქცევს მათს კეთილშობილურ გულის წყრომას და ხშირად იძულებულია, სულ რამდენიმე მანეთისათვის ქონება აუწეროს ყოფილ ბატონებს.

ეჰ, დრონი, დრონი! წარვიდნენ დრონი, დრონი ნეტარნი!

არა? „დაბადებიდან სიკვდილამდის უზრუნველ-ყოფილი ცხოვრება, ყველაფერი მზამზარეული, ყველანი შენი სურვილის ამსრულებელნი! მხოლოდ იფიქრე, როგორ ილხინო! გაჭმევენ, გასმევენ, ტანს გაგხდიან, დაგაწვენენ, პირჯვარსაც გადაგწერენ, ოღონდ უნდა დაიძინო შენ!..

ეხლა-კი სულ შრომა, შრომა, შრომა! განა ეს ცხოვრებაა?"

ნეტავ რას იტყვიან, ასეთი აზრები რომ გაიგონონ, ევროპიელი მუშები, რომელთაც შრომა სწადიათ, შრომით მოპოვებული ლუკმა, და სამუშაო კი ვერ უშოვნიათ?.

**

გასულს კვირას ერთი შესანიშნავი ამბავი მოხდა: „ქართველ თავად-აზნაურობამ, ვკითხულობთ ერთს ქართულს გაზეთში: მოიპატიჟა სადილად მოსკოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ტრუბეცკოი ვერის ბაღში. სადილი დიდხანს გაგრძელდა. როგორც სტუმარმა, ისე მასპინძლებმა მრავალი გრძნობიერი და საგულისხმიერო სიტყვა წარმოსთქვეს... ღამის ორ საათზე თ. ტრუბეცკოი მხურვალედ გამოეთხოვა მასპინძლებს და სამხედრო გზით რუსეთისაკენ გაემგზავრა. თავად-აზნაურობამ კარგა მანძილზე გააცილო?!!"

**

ყველანი გახარებულნი და სრულის იმედით შევყურებდით ტფილისის თვითმმართველობის მიერ ხორცის დუქნების გახსნას. კარგი ხანია არსებობს ეს დუქნები და დიდი ზარალიც მისცა ქალაქს. ყველას უკვირდა ეს გარემოება და დღემდის ვერ გაეგო ამის მიზეზი. ეხლა კი გამგეობა (ცოტა არ იყოს, გულუბრყვილოთ) აცხადებს: ვზარალობდით, რადგან დუქნებში რთული და ძვირი ბუღალტერია გვქონდაო, უწესოდ სწარმოებდა ხორცის ვაჭრობა, ხორცი დროზე არ იყო, ვაჭრობა დაგვიანებულად გამოდიოდაო, ცუდს საკლავს საქონელს ვყიდულობდით, ნაყიდს საქონელსაც ცუდათ ვინახავდით, მჭლე საქონელს ვკლავდით, მსუქანს ბალახზე ვუშვებდით, მაგრამ ისიც მჭლევდებოდაო, საბალახო ადგილებიც შორს გვქონდა დაქირავებულიო და სხვა.

რასაკვირველია, ცოდვების აღიარება და დანაშაულობის გამხილება ძლიერ კარგია. ესეც რომ არ იყოს, მაშინ სულ უარესი იქნებოდა. მაგრამ არ შეგვიძლია გაოცებით არ მივმართოთ ჩვენს თვითმმართველობას: სად ბრძანდებოდნენ დუქნების გამგე კომისია, გამგეობის წევრები, ხმოსნები? ეძინათ, თუ მასხარობდნენ? განა შეიძლება სულ უბრალო და მარტივი მეურნეობის წაყვანაც კი ასე უთავბოლოდ, ელემენტარულის პირობების ასე დავიწყებით? აბა რაღა იცოდნენ და რას აკეთებდნენ!

ქალაქის მეურნეობას დიდი მერმისი აქვს და დიდათ სამწუხაროა, რომ ჩვენმა ქალაქმა ასე საშინლად გაუტეხა სახელი მას თავიდანვე.

რას იტყვიან ახალი ხმოსნები?.

სიტყვა.

აქაური ბიბლიოთეკა კარგა ხანია აღარავის მოჰგონებია. იმის სასარგებლოდ აღარაფერი გამართულა. ეხლა არც ისე მაგრად სდგას, რომ სხვისა შემწეობას არა საჭიროებდეს. ამისათვის ძლიერ კარგს იზამს ჩვენი ახალგაზდობა, რომ პირველად ჯერი იმას არგუნონ და ერთი წარმოდგენა გამართონ იმის სასარგებლოდ არტისტთა გ. გამყრელიძის და დ. აწყურელის მონაწილეობით, რომელნიც ეხლა სოფ. აწყურში არიან.

დიმიტრაშვილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ივნისი.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულ"-ში დაბეჭდილია ის ცვლილებანი, რომელიც უნდა მოხდეს ზოგიერთ კანონებში. კანონები შეეხება იმ საქმეების გამო ნებართვის მიცემას, რომელსაც კავშირი აქვს სახელმწიფო და საზოგადო საჭიროებათათვის ადგილების მიზომვასა და ამ მამულების პატრონთა დაჯილდოვებასთან. დაბეჭდილია აგრეთვე: ციმბირში გაგზავნილთ ამას იქით მძიმედ აღარ გაჰჭედავენ. ნება დართულია, რომ საეროთ ტელეფონით ფასით ლაპარაკი და დეპეშების გზავნაც შეიძლებოდეს; ქალ. რიგას ნება ეძლევა ფულის სასესხებლად ობლიგაციები გამოსცეს სამის მილიონისა.

კიევი. ივან ნიკოლოზის ძის ტერეშჩენკოს ქვრივმა 30 ათასი მანეთი წარადგინა კიევის პოლიტეხნიკუმში სამის სტიპენდიის დასაწესებლად თავის ქმრის სახელობაზე და გამოაცხადა აგრეთვე, მსურს ყოველ წლივ ხუთის წლის განმავლობაში 15 ათასი მანეთი შემოვწირო ჩემის ქმრის სახელობაზე სამხატვრო და სამრეწველო სასწავლებლის დასაწესებლადაო. ამ სასწავლებლის დასაარსებლად განსვენებულ ტერეშჩენკოს 200 ათასი მანეთი შეუწირავს.

პორტ-არტური. იაპონიის პრესა ერთხმად ესალმება რუსეთის სამხედრო მინისტრს; მინისტრის ჩამოსვლა მშვიდობიან პოლიტიკის თავდებად.

სტამბოლი. ზინოვიევის ბეჯით თხოვნის გამო, დიდი ვეზირი დაჰპირდა, სტრუმიცის მიტროპოლიტს გერასიმეს სრულ უფლებას დაუბრუნებო.—ოსმალეთის სადარაჯო რაზმი ხელმეორედ გადავიდა საზღვარს როდოპის მთებში. სამინისტრომ ახლად დაწესებულ სასაზღვრო ჟანდარმერიის სამსახური უვარგისად სცნო და გადასწყვიტა, 20 ივნისისათვის ეს ჟანდარმერია დაითხოვოს. საზღვარზე წინანდებურად ისევ სამხედრო რაზმები იმსახურებენ.—ბოლგარიის გაზეთები იუწყებიან, აჯანყებულთა რაზმს სარაკინოვის უფროსობით კიდევ შეტაკება მოუვიდა ოსმალოს ჯართან მელნიკის მაზრაში, სოფელ სენოკოსს ახლოს.

ათინა. დეპუტატთა პალატაში კენჭის ყრის დროს მთავრობა დამარცხდა. ამიტომ სამინისტრომ პალატას ნდობის გამოცხადება სთხოვა. 115 დეპუტატი სამინისტროს მომხრე, 95 კი წინააღმდეგი იყო. ჰფიქრობენ, იქნება სამინისტრო სამსახურიდან გადადგესო.

საბერძნეთის დედოფალი რუსეთს წავიდა.

ვენა. ჰუნგრეთის სამინისტრო შეადგინეს. ჰედერვარი—პირველი მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი იქნება; ლუკაჩი—ფინანსთა, ვლასიჩი—სარწმუნოებისა და საერო განათლებისა, დარანი—მიწათ-მოქმედებისა, ჩეხი—ხორვატიის საქმეთა მინისტრი, პლოსი—იუსტიციის, ლანგი—ვაჭრობისა და კოლოშვარი—ეროვნულ დაცვისა. ხორვატიის ბანად (მთავარ-მართებლად) ან გრაფ პეიაჩევიჩი იქნება, ან გენერ. თოდოროვიჩი.

ბელგრადი. დიპლომატების მიღების დროს მარტო რუსეთისა და ავსტრიის ელჩები იყვნენ. ავსტრიის ელჩმა დღეს ოფიციალურად დიპლომატიური ურთიერთობა განაახლა სერბიასთან.—გერმანიის იმპერატორმა გულითადი დეპეშა გამოუგზავნა მეფეს.

კილი. მათ უდიდებულესობათ იახტა „ჰოჰენცოლერნზე" სადილი გამართეს ამერიკის ესკადრის მისვლის გამო.

კართაგენი. ისპანიის მეფე საფრანგეთის ესკადრას ესტუმრა. და „სენ-ლუიზზე" ისაუზმა. საუზმის დროს მეფემ პრეზიდენტ ლუბეს სადღეგრძელო წარმოსთქვა. შემდეგ მეფე რუსეთისა, ინგლისისა და პორტუგალიის გემების სანახავად წავიდა.

სოფია. პოლიციამ შეიტყო, ამ უკანასკნელ დღეებში მაკედონიელი რევოლიუციონერები მოვიდნენ და კიუსტენდილში ვინმე სტეფოვის სახლში ასაფეთქებელი მასალა დამალესო, ამიტომ ამ სახლს წრე შემოავლეს. რევოლიუციონერები საჩქაროდ ასაფეთქებელ მასალის დამალვას ეცადნენ, მასალამ იფეთქა და 6 კაცი მოჰკლა.

ერლაუ (ჰუნგრეთი). დილით დიდი მიწის ძვრა მოხდა, 4-ჯერ იძრა მიწა. ქალაქის განაპირა უბნებში სახლები დაინგრა; შიგ ქალაქში თითქმის ყველა სახლები დაზიანდა. მცხოვრებლებს შიშის ზარი დაეცა.

რიგა. აკურთხეს და გახსნეს რიგის ნავთსადგურის საკარანტინო საავადმყოფო.

სალონიკი. ოსმალოს ჯარმა „ჩერნაია რეკასთან" გუმენცის მაზრაში ბოლგარების რაზმი გაფანტა. რაზმს დინამიტი ჰქონდა. რვა ბოლგარი მოჰკლეს, იმათში რაზმის უფროსი იოვანიც.

პეტერბურგი. დიდის მთავრის მეუღლე ალექსანდრა იოსების ასული თებერვალს აქეთ უფრო ავად გახდა: ტვინში სისხლის მოძრაობა მოუშალა, თვალთ სრულებით ვეღარ ჰხედავს. გონებაც ეკარგება, ვეღარც ლაპარაკობს, დრო გამოშვებით გულიც უსუსტდება. ძლიერ სამიშ მდგომარეობაშია დიდის მთავრის მეუღლე.

14 ივნისი.

ვარშავი. მოვიდა ბუხარის ემირი და ყირიმისაკენ გაემგზავრა.

ბელგრადი. ოფიციოზურს გაზეთებში გამოქვეყნებულია მეფის ბრძანება ჯარის მიმართ.

სოფია. მოგონებულია ის ხმა, ვითომ მთავარი ჰფიქრობს თავის ქვეყანას განშორდეს.

— მთავარმა მიიღო სერბიის მეფისაგან დეპეშა, რომელშიაც იგი ატყობინებს თავისს ტახტზედ ასვლას. მთავარმა მიულოცა მას გამეფება და უსურვა ბედნიერება.

— ბოლგარიის საზღვარზე ძალიან გაძლიერებულია ოსმალთა სადარაჯოები. ამ დარაჯების ადგილას დააყენებენ რამდენიმე ქვეითს, ცხენოსანს და არტილერიის ბატალიონს.

ბერლინი. ხელმეორე არჩევნებზედ აირჩიეს: 20 კონსერვატორი, 12 საიმპერიო პარტიის მომხრე, 8 ანტისემიტი, 12 ცენტრის პარტიისა, 44 ნაციონალ-ლიბერალი, 20 თავისუფალ მოაზრე ხალხის პარტიისა, 6 გერმანელ ხალხის პარტიისა, 9 თავისუფალ მოაზრეთა კავშირისა, 25 სოციალ-დემოკრატი, 3 ელზასელი, 2 პოლონელი, 4 გველფი, 3 წევრი გლეხთა და სოფლის მეურნეთა კავშირისა და 6 დამოუკიდებელი. 4 ხელმეორე არჩევნის შედეგი ჯერ არ იციან. კიდევ 2 ხელმეორე არჩევანი მოხდება.

კენიგსბერგი. თუმცა ხმები გავრცელდა, რომ ვისლა ვარტას არხს უეჭველად გაიყვანენო, მაგრამ ეჭვი არ არის, ეს პროექტი არ განხორციელდება. უფრო მოსალოდნელია ვინდავა მემელის არხის გაყვანა. მუშაობა ამ არხის გასაყვანად ახლო მომავალში დაიწყება. რუსეთის მთავრობა ძალიან მხარს უჭერს ამ პროექტს და იმედი აქვს, არხის გაყვანა ძალიან ხელს შეუწყობს ხე-ტყის წარმოებას მემელის ნაპირებზე და უფრო ნაყოფიერ დამუშავებას ხე-ტყისას რუსეთის საზღვრებში.

პეტერბურგი. გამოცხადებულია საროვის უდაბნოში წმინდა სერაფიმის ნაწილთა გახსნის დღესასწაულების წეს-რიგი.

მოსკოვი. „მთელი მიწერ-მოწერა საროვისა და დივეევის უდაბნოებში დღესასწაულების შესახებ, გადააქვთ საროვის უდაბნოში; ამიტომ მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ წერილით თუ დეპეშით საროვში, ტამბოვის გუბერნიაში უმაღლესად გაგზავნილ პირთა სახელობაზე. იმათ, ვინც მონასტრის ბინაზე ჩაწერილნი არიან და ცნობა არ მოსვლიათ, თუ ჰსურთ, ბინა ექმნებათ დივეევის უდაბნოში, სადაც დაიწყება და დასრულდება დღესასწაულები. ამისათვის უნდა მომმართონ მე საროვს. უდაბნოთა შორის 10 ვერსის მანძილია; ხალხის გადასაყვან-გადმოსაყვანად ეტლები იქმნება." ხელს აწერს არხიმანდრიტი სერაფიმე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

№ 4711

CAPTOL

„კაპტოლი"

საუკეთესო წყალი

თმებისათვის

თავის კანის გასაწმენდათ, გასაგრილებლად და ნერვების გასამაგრებლად. ქერქლისა და ქავილის და თმის დაცვენის წინააღმდეგი საშუალება; მომზადებულია მედიც. დოქტორის მიხვოფისა ელბერფელდში.

„კაპტოლი" არ შეადგენს საიდუმლო საშუალებას.

ერთად ერთი ფაბრიკანტი

ფერდ. მიულჰენსი

კელნი და რიგა.

მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა-და-სხვა მასალის დამმზადებელი.

(მც. 5.—8)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ ქალაქის გამგეობაში ნაშუადღევის 1 ს. 20 ივნისს **საჯარო ვაჭრობა** მოხდება: იჯარით გაიცემა 3 საქალაქო ბუდკა. ეს ბუდკები გამართულია: 1) ალექსანდრეს ბაღის ქვემო ნაწილში, 2) მე-5 ნაწილში პუშკინის ქუჩაზე და 3) მე-3 ნაწილში ბაზრის ქუჩაზე. ყოველ ბუდკისათვის ცალკე ვაჭრობა მოხდება. მსურველთ შეუძლიანთ ყოველ საქმე დღეს დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 ს.-მდე გამგეობის მე-7 განყოფილებაში პირობები გასინჯონ. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, მოვალეა ვაჭრობის დღეს 50 მან. წარმოადგინოს ბედ. განცხადების წარდგენა დაბეჭდილ კონვერტითაც შეიძლება ვაჭრობის დაწყებამდე. (2—5—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—81)

დაბა ახალ-სენაკში

23-დან 29 ივნისამდე

გაიმართება იარმუკა,

რომელზედაც გაიყიდება სასოფლო ნაწარმოები, ცხენები, საქონელი და შინა მრეწველობის ადგილობრივი ნაწარმოები, ხოლო 29 ივნისს გაიმართება კავკასიელ ჯიშის ცხენების დოღი. მანძილი 7 ვერსი იქმნება. დარიგდება 100 მანეთის საჩუქრები.

(3—1) **სენაკის მაზრის უფროსი**

იყიდება

სამოსახლო ადგილები

ფასი 4-დან 7 მანეთამდე. არსენალის პირდაპირ. ორასი ნაჭერია გასასყიდი. იკითხეთ მაზუტის ქუჩაზე, № 4, ბარსკი.

(4—113—1)

დამზღვევი საზოგადოება

„როსსია"

პეტერბურგი, მორსკაია, № 37.

გამგეობა პეტერბურგში,

მორსკაია, № 37

1902 წლის მოგებისა და ზარალის ანგარიში

შემოსავალი.	
1901 წლის შემოსავლის მოგებიდან დარჩენილ	1481—82
1902 წელს შეგროვდა პრემია	18,087,479—18
შემოიტანეს დამზღვევმა საზოგადოებებმა ზარალის დასაფარავად	2,429,122—78
საზოგადოების თანხების პროცენტი შემოვიდა	2,110,763—97
სულ	22.628 847—75
ხარჯი:	
მიეცა დამზღვევთ	10,652,339—56
პრემია მიეცა გადამზღვევ საზოგადოებებს	5,363 962—55
განყოფილებების შენახვა და აგენტების კომისია	1,568.468—03
მართვა-გამგეობისა	850,420—15
მიემატა საზოგადო თანხას პრემიებისა	3,198,218—46
მოგება:	
დამზღვევთა სასარგებლოდ	297 040—67
საზოგადოების სასარგებლოდ	688 398—33
	985 439—
სულ	22 628 847—75

აგენტები

იმპერიის ყველა ქალაქში

ბალანსი 1903 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი:	
ფულის რაოდენობა გამგეობის კასაში	243,180—61
ბანკებსა და სხვა დამზ. საზოგად. შეტანილი და სახელდახელო ანგარიშზე მიბარებული ფული.	5,384,201—63
სარგებლიანი ქაღალდები	18,120 163—28
საზოგადოების შენობების ღირებულება	20,142,962—71
სარგებლიან ქაღალდების გირაოთი გაცემული სესხი.	600,000 —
სესხი სიცოცხლის დაზღვევის პოლისებით გაცემული	6,116,943—16
განყოფილებებში ფულის რაოდენობა და სალდო აგენტებთან	2,674,464—99
აქტივის სხვა სტატიები	516,855—96
სულ	53,798,772—34
პასივი:	
ძირის თანხა (16,000 აქცია თითო 250 მან.)	4,000,000 —
სათადარიგო თანხები საზოგადოებისა და მოგებანი დამზღვევებისა	2,437,014—10
პრემიების სათადარიგო თანხა	41,134,458—62
გაუთავებელ ზარალის სათადარიგო თანხები	2,317,370—30
ის ფული, რომელიც გადამზღვევ საზოგად. და კრედიტორებს ეკუთვნით	2,298,302—43
პასსივის სხვა სტატიები	923,228—56
მოგება საზოგადოებისა 1902 წელს *)	688,398—33
სულ	53,798,772—34

---

*) აქციის პატრონთ დივიდენდად ეძლევათ თითო აქციაზე 25 მან.

Дозв. ценз. Тифлисъ, 14 Іюня, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)